



პროფესიულ სტუდენტთა მობილობა

საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ადგილების თავისუფალი რაოდენობის ფარგლებში, პროფესიულ პროგრამების თითოეული საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისათვის მობილობით სტუდენტების მიღებისათვის გათვალისწინებულ ადგილებს.

მობილობის პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა იმ პროფესიულ სტუდენტს, რომელიც ჩაირიცხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად ამა თუ იმ ავტორიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დასაშვებია შიდა მობილობით კოლეჯის სტუდენტებისათვის სპეციალობიდან-სპეციალობაზე გადასვლა სწავლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში;

იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის მოცულობა არის ერთ სემესტრზე მეტი, სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის მსურველმა კოლეჯში სხვა საბუთებთან ერთად უნდა წარმოადგინოს სასწავლო ბარათის ბეჭდით დამოწმებული ასლი. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ადგენს სტუდენტის მიერ გავლილი საგნების შესაბამისობას კოლეჯის სასწავლო პროგრამასთან, ახდენს შესაბამისი კრედიტების აღიარებას. სტუდენტისათვის შეთავაზებული პირობები წინასწარ ეცნობება კონკურსანტს.

იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის მოცულობა არის ერთსემესტრიანი და პროფესიულ სტუდენტს ამ პროგრამის ფარგლებში ნაწილობრივ აქვს დისციპლინები ათვისებული, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადგენს მობილობის მსურველი სტუდენტის შესაბამისობას კოლეჯში მოქმედ პროგრამასთან, აცნობს მას ასათვისებელ დისციპლინების ნუსხას, რის შემდეგაც დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს სტუდენტის კოლეჯში ჩარიცხვის თაობაზე;

მობილობის ფარგლებში სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მსურველი სტუდენტი მობილობის ვადებში განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს შესაბამისი საბუთების ასლის მოთხოვნით, როგორც სხვა პროფესიულ სასწავლებელში გადასვლის მსურველი.

მობილობის მსურველი მოიპოვებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

ჩარიცხვის უფლებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროფესიული სტუდენტი, რომელიც მოიპოვებს მობილობის უფლებას, ვალდებულია კოლეჯს წარუდგინოს მისი პირადი საქმე:

- სასწავლო ბარათის ასლი (დამოწმებული გამომწვევები დაწესებულების ბეჭდით) თუ პროგრამა ერთ სემესტრზე მეტ ხნიანია;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- სამხედრო აღრიცხვის ბარათი (ვაჟების შემთხვევაში);
- განცხადება;
- სრული ზოგადი/საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 2 ფოტოსურათი 3X4-ზე;